იმავს სამწუხარო არა არის რა პირადი მოღვაწისათვის, როდესაც იგი ოდესმე ბრწყინვალე, ყოვლის შემძლებელი და ყველასგან თავგანცემული, თავისეფი სიცოცხლეში მოასწრება ძირის დაცემას და სიძულელს არამც თუ თავისიანებში, არამედ უცხო ტომებშიაც. ასეთი ბედი ზედა ნაპოლეონებს, ასეთივე ბედი ეწია იმ ყოვლის შემძლებელს „რკინის გულის კანკლერს“ — ბისმარკს, რომლის ერთი შემობღვერა მესამოცდათე წლებში გვირგვინისწესება შიშმა და სასოწარკვეთილებმაში აგდებდა. ეს ყოველთვის შევემთხვევა ხოლმე იმ დიდი ჭკუისა და ხერხის მოღვაწეებს, რომელნიც ცხოვრებაში მარტო პირად სარგებლობაზე და ინტერესებზე არიან გადაყოლილნი და მარტო სხვების დამარცხებაზე, სხვების უბედურებაზე იშვინებენ საკუთარს ბედნიერებას. ბისმარკმა შექმნა საფრანგეთის განადგურებით გერმანიის დიდება, ხოლო თვით გერმანიაში პრუსიის დიდებას ანაცვალა სხვა გერმანიის სახელმწიფოების კეთილ-მდგომარეობა. ის იყო მეტათ ფიცხი და ხშირათ ძალმოპირეობაზე და კანონის დარღვევაზე ამყარებდა თავის დიდებას. იმან შეგვიწირა შიგნით პოლშელები — პოზნანელები და ელზას-ლოტარინგელები, იმან გაამეფა პოლიტიკაში დამორჩილებული ერების შეეწირება, მათი ჩაყლაპვა.

მას წაბადეს სხვა ბრიყვა სახელმწიფოებმა და მეტათ შეგვიწირეს თავისი ქვეშევრდომი უცხო ტომები, მაგრამ არ შეიძლება, რომ უსამართლობამ იმათ ერთხელ მაინც არ წაამტერევიოს ფეხი და მწარე სასჯელს არ მიეცენ ისინი, რომელნიც დღენიან ქვეშევრდომ ერის ენას, ისტორიას, სარწმუნოებას. ასე მოუვიდა ბისმარკსაც. იმას დღეს თავის ერის სიყვარულიც მოაკლდა, თავის მეგობრებისაც და შეიქმნა დაერდამილი ლეში მოხუცებულობაში, უძლურათ მღრინავი მღრინავ-ბებერ ნაგაზრავით.

როდესაც გერმანიის რეისტაგის (სახელმწიფოთა წარმომადგენელთა) კრებაში იმპერატორმა მოიხსურა ბისმარკის ოთხმოცი წლის დღეობა ბრწყინვალეთ გადახდათ, გერმანიის ერის წარმომადგენლებმა ზურგი შეაკციეს და უარი თქვეს. მეტი ღონე აღარ იყო, რაკი მოთელმა გერმანიამ იქვე ბისმარკის პატივისცემაზე, მაშინ იმპერატორმა გამოიღვა თავი, სამხედრო დღესასწაულობა გაუმართა და საჩუქრათ ორპირი ოქროს მახვილი (დაშნა) მიართვა. მაგრამ ამ გვარი გაჯიბრებით თვით იმპერატორმა გერმანიისამ დამისაზურა მხოლოდ თავისი ერის საყვედური და კიცხვა. ასეთს სამწუხარო ბოლოს უნდა მოელოდეს ყოველი კაცი და ყოველი სახელმწიფო, რომელიც თავის ბედნიერებას უსამართლობაზე და სხვა ერის დაჩაგრვაზე ამყარებს.

მაზაკელი

დიუტერიონის (ყელჭირებზე-ხუნაგის) აერა

პროფესორი პერინგის და დოქტორი რუს წაქალაქი

მვალის“ ამ წლის ნომერში იყო დაწერილ-
ებით აწერილი საოცარი ავთოყოფილება-ბავშვების
ყელჭირებზე-ხუნაგზე, რომლის გამო ასს
ავთოყოფი ბავშვში თორმეტი თუ გადარჩება ხო-
ლმე, ისიც ბევრია. იქ იყო აგრეთვე მოხსენებული
ახლათ შემოცნებული ამ საშიში ავთოყოფიების წა-
მლობა—აცრით მორჩენა.

საზოგადოთ ამ ჩვენ საუკუნის გასულს დამ-
ტკცდა, რომ აცრა უფრო წამალი ყოფილა ყო-
ველ გადამდებ მომავლენებელ ავთოყოფიებისათვის.
მხოლოთ საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ ვერ მიუ-
გნიათ სხვადასხვა გადამდები ავთოყოფიების შესა-
ფერი ასაცრელი წამლის გაცემა და ხერხები.
მაგალითთ ყველის აცრა ხომ წარსულ საუკუნე-
ში მოიგონა სახელოვანმა ინგლისის მეცნიერმა, ჯე-
ნერმა, მაგრამ მას აქეთ ერთი საუკუნე გავიდა და
მხოლოთ ახლა მიხედნენ ექიმები მეცნიერები, რომ
როგორც ყველისათვის, ისე ყოველნაირ გადამ-
დები ავთოყოფიებისათვის და ბრავიანისათვის უფ-
ბარი წამალი ყოფილა აცრა; მხოლოთ თითოეულ
გეგრ ავთოყოფიებას თავისებური მომხატვება
ჭირებია ასაცრელი წამლის და ეს ხერხები ჯერ კი-
დევ არ იცან. საქმე იმაშია, რომ ხერხიანათ აცრა
არჩენს ავთოყოფიას და ტანმთელსაც აწმორებს
მომავლენებელ სენს, თუ სამიღვნიოთ არა, რამ-
დენიმე წლით მაინც.

რასში მდგომარეობს აცრის პრინციპი?—იმა-

ში, რომ როცა კაც მოიხდის გადამდებ ავთოყო-
ფიებას, მის სისხლში ჩნდება ისეთი არსებანი, რომ-
მელნიც ებრძვიან სენის გესლს, უშლიან მისი თე-
სლის გამრავლებას, ინელებენ მათ და სპობენ ტან-
ში გესლის მოქმედებას. მაშასადამე სენ-მოხდელი კაცის
სისხლი: წრბოლი რომ აუტრა გადამდები სენით
ავთოყოფა, ეს ადელით იხდის გადამდებ ავთოყო-
ფიებას. პროფესორმა ბერინგმა პირველათ გამოკადა
ეს საშუალება ცხენებზე. ცხენებს აუტრა ყელჭირებზე
ხუნაგისა წრბოლით. ცხენები გახდნენ ავთ და როცა
მორჩნენ, მერე ამ ცხენების სისხლიდან პროფესორმა
ბერინგმა გამოიღო წრბოლი, აუტრა ყელჭირებზე-
ხუნაგით, ესე იგი დიუტერიონით, ავთ-
ყოფი ბავშს. ყმაწვილობა ადელით მოიხდა ეს
საშინელი სენი. იმ დროს, როდესაც გერმანიაში
ჰალდის უნივერსიტეტში პროფესორი ბერინგი მუ-
შაობდა ყელჭირების წრბოლის შემზადებაზე, საფ-
რანეთში, პასტერის სამკურნალოში, ახალგაზდა
დოქტორი რუქ ამგვარსავე ცდაში იყო. მაგრამ
დოქტორმა რუქ უფრო ზედმიწევნით ხელოვნებით
შეამზადა დიუტერიონის ასაცრელი წრბოლი და უფ-
როცა გაითქვა სახელი ქვეყანაზე.

აქ დახატულ სურათებზე არის წარმოდგენილი
სამი შემთხვევა. პირველი სურათი წარმოადგენს
დოქტორი მარტენს, როცა ის თავის კაბინეტში აკე-
თებს დიუტერიონის ასაცრელ წამალს; საშუალო სურ-
ათზეა წარმოდგენილი დიუტერიონით ავთ გამხდა-
რი ბავშვი, რომელსაც დოქტორი რუქ უტყის დიუ-
ტერიონს, მესამე სურათზეა წარმოდგენილი ცხენი,
რომელსაც პროფესორი ბერინგი უშუშრავს კისრის
ძარღვს და სისხლს წრბოლს აგროვებს ბოთლში.

გ—ლ

„კეალი“ და მესამე დასის მწერლები

(ჩვენი ლიტერატურული იდეალიზმი)

წერდა მერე

Прожитою развитая страна показывать меньше
развития, странами только картину их собствен-
ной будущности“.

K. Маркса

მრწველობით და აღუ-მიცემობით გა-
მადარებული ქვეყანა წამოუდგენს
დაბნე ქვეყანას მხოლოთ სურათს მისი
საკუთარი მომავლისა, ე. პრენსი.

„განა შესაქმნა რეალა ის აზრი, ვითომ
ჩვენში განბიტალისტური წეს-წესობა
არსებობს?“ ქართული მარქსი *)

VI *)



კითხვებში იცის ჩვენი შეხედულობა კაბიტა-
ლიზმზე—ეს საქონლის წარმოება—და აწინ-
დელ ეკონომიურ წარმოებაზე—ეს აღებ-მი-
ცემობა.

ახლა ვიცით: რა მოქმედებს აღებ-მიცემო-

*) ის, სალიტერ. შენიშვნები, „მომავლ.“ № X.

**) ის, „კეალი“ № 13.

ბაში? ერთი მხრით—საქონელი, მეორე მხრით—ფული. ეს ორი ფაქტორები უპირდაპირდებიან ერთმანეთს ბაზარზე, სადაც ერთს გამოაქვს თავის შრომის ნაყოფი, მეორეს—ფული, ერთი ყიდის, მეორე ყიდულობს. გლეხს ერთი წუთიც არ შეუძლია იტაცოს უბაზროთ. ბაზარი — ეს შედეგი შრომის განაწილებისა, წარმოებისა, აღორძინებისა — თავის მხრით მოქმედებს თვით ამ წარმოებაზე, აღორძინებს მის ამა თუ იმ დარგს. გლეხი თვალყურს ადევნებს—რა საქონელს მერტ ფასად გამოაქვს აქვს — და ამის მიხედვით მოქმედებს; მაგალითად, გურიაში ამ ათი-თუთხმეტე წლის წინათ აიწია შესამჩნევად თუთუნის ფასმა (ფუთი 10—17 მან.) და ეს მხარე ამწვანდა ამ ამერიკული მცენარით. დაიკლო ფასმა (ფუთი 3—5 მან.), იკლო ამ დარგის წარმოებამაც. ნიგვზის ხეს დაღდე დადი ფასი და ეს მცენარე გაუქვა გურიაში. გურულები ახლა თვითონ ბაზარზე ემეზენ აქ ხის ნაყოფს. „ბაზრის გავლენა, — ამბობს ერთი რუსების პოლიტიკო-ეკონომი — გლენთა მეურნეობაზე ისეთი ძლიერია, რომ მან, ბაზარმა, რომ მოითხოვს გლენთაჲ კულტურა მჭიდროდის, ესაზრსული გვირილისა, ისინი უთუთად დაემორჩილებოდეს ამ მოთხოვნილებას და შეამკობდნენ პურის თესვას“. გლეხი იძულებულია გამოიტანოს ბაზარზე არამც თუ შინ სანმარებელზე გადარჩენილი, თვით ის ნაყოფიც თავის შრომისა, რომელიც მოწეულია მისი პირდაპირი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გლეხს არ შეუძლია უფულოთ სიცოცხლე; ტან-ფეხი, ოჯახში საკირა სხვა-და-სხვა ხორაგულობა, მტერი და მოყვარი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი გადასახად და სხ. ამისათვის ის ყიდის წლის სარჩის მოწევისათანავე იაფ-ფასში და შემდეგ კი ისევ ყიდულობს ორ წელ ფაშში. უფრო ხშირად ვალთ იღებს გულ-კეთილი ჩაჩისაგან და ამ ნაირად ვარდება მის წვეტიან კლანჭებში. ამის მაგალითებით სავსეა ქართლ-კახეთის ცხოვრება. თვითონ ჩვენ, თქვენი უმაჩიოლები მონა, არა ერთიანი ეკონომიკური მოწყობა ამ მხარე საყოველთაოდ გარემოებათა. წარსულ წელში, კალაობის დროს, ჩვენ შემთხვევით წაეწყდით სოფ. შ — ში (ქართლ-შია) შემდეგ სურათს: ორ ახალგაზდა ნაწივალ ყმა-წელებს მოემწყვდიათ ერთი კუთხეში ერთი პირზე წამოჭარხლებული ღიბანი ჩარჩი. გულწრფელი ახალგაზდები, სამშლითა დღეებდებული, არცხვენდნენ უსიარცხილო ბოროტსა. აღმოჩნდა — ერთი გლეხის მთელი წლის პურის მოსავალს, რომელიც იქვე იყო მიწონილი, ვერ დაემკიყოფილებია გაუმადარი მოვანზე. ის აიძულებდა გლეხს მეზობლიდან სესხათ აეღო და დაემკიყოფილებინა. კახეთში ჩვენ

გეინახავს, როგორ მუქათა იმეტებს გაჭირვებული გლეხი ჯერ კიდევ მოუწეველ ყურძენს, ისიც გეინახავს, როგორ ქარაგუს ვალში სამუდამოდ თავის მარჩენელ ვენას.

ბანი — ლი *), რასაკირველია, ამ გვარ მოგლენას არაფრად ჩაგდება და თავისებურად მართავს კიკეკს: „განა შესაწყნარებელია ის აზრი, ვითომ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს, იმ ქვეყანაში, რომელიც იმაზეცაა მეტს (კურსივი ჩვენი) ნაწარმოებს იძლევა, რაც მის მკიდრთ საქეებათ ჰყოფნის და რაც მოწევისათანავე (!) იხარჯება? მაგ. სიმინდს იძლევა და დიდ-ძალი ამ ნაწარმოებისა აქვე იხარჯება. ლენინოზდაც იგივე უნდა ითქვას!“.

კარგად დაუყირადით, მკითხველო, დაიხედეთ აქ წინ, თორემ თუ ფეხი დაგიცდით და ამმეცნიერების მორევში ჩავარდით, ხსნას ნულარსად ეძებთ. ჯერ ეკითხოთ, რას ნიშნავს, ბ. ნა—ლო, ეს თქვენი „ცოტა მეტს“? ან რომელია ის ბედნიერი ქვეყანა, რომელიც აქადათ ამაზე მეტს ნაწარმოებს იძლევა, რაც მის მკიდრთ საკეებათ ჰყოფნის? მაგ. ინგლისი, სადაც კაპიტალიზმის განვითარებამ მიაღწია უმაღლეს წერტილამდე, ნუ თუ ეს ქვეყანა ბევრად იმაზე მეტს ნაწარმოებს იძლევა, რაც მის მკიდრთ—თუ მივიღებთ მხედველობაში, რასაკირველია, მთელი ერის ვითარებას და არა თითო-ორი კაპიტალისტებისას—საკეებათ ჰყოფნის? მაგრამ ვიცით, ვიცით; თქვენი ფილოსოფიაც გაგიგეთ, ბ. ნა—ლო. თქვენის აზრით კაპიტალისტური წეს-წყობილება მხოლოდ იმ ქვეყანაშია, რომელიც „იღიდ ძალას თავის წაწარმოების სხვა ქვეყნებს უზენაის და „პაწა ძალას“-კი თავისთვის იტოვებს. საწყალო „შეგრთებულნი შტატნი ჩრდილო ამერიკისაო! (რუსეთზე აღარას ვიტყვი) როგორ ვერა გრძობთ ამ ჩვენს მარქსის შოლტის ცემას? ან რა უფლება გაქვთ იფიქროთ, რომ თქვენმა წარმატებამ გაუსწრო ევპიელთა წარმატებას, როცა რომ თქვენ გზავნით სხვა ქვეყნებში მხოლოდ უმცირესს ნაწილს, თქვენის ნაწარმოებისას და ყოველ შემთხვევაში, შედაჩებით ყველა ევროპიელ სახელმწიფოთა ნაკლებს და იმასაც კი უმეტეს ნაწილად იმ სახით, რა სახითაც იძლევა, თქვენი ბუნება! ოჰ, ნა—ლო, ნა—ლო, მაგრამ არა, ო, ჩვენი ბედშეო საქართველოც, ჩვენო უბადრუკო მწერლობა! მწუხარებით გული მი-ღონდება, თვალები მიბნელებდა, როცა ვხედავ ამ

*) შეკვეთა, ბანი ღალი და გ. წიფიკ მისი თანახმისი იქნებან ამ შემთხვევაში. რეაქტ.

უმეცარს, რომელიც აგრეთვე თავ-მომწონით ყოყო-
ჩობს ჩვენს ერთადერთ ქვრნალში!

ბ. ნა — ლო, როგორ მოვიცილო, როგორ ვერ
ამოიკითხეთ იმ მეცნიერებიდან, რომლის ჩაყლაპვას
ასე ეკებულობთ, რომ აწინდელი კაპიტალისტური
წეს-წყობილების უმთავრესი ნიშანი იმაში კი არაა,
რომ ქვეყანამ გაგზავნოს საზღვარ-გარეთ უმეტესი
ნაწილი თავისი ნაწარმოებისა, არამედ იმაში, რომ
ქვეყნის მკვიდრთა უმრავლესობა იძულებულია უმე-
ტესი ნაწილი თავისი ნაწარმოებისა დაუთმოს უმე-
ტესს ნაწილს! „დაუთმოს“ არა ყმაბ, არა მონამ,
არამედ იურიდიულად თავისუფალმა მოქალაქემ!

მკითხველი გაიკვებ ბ-ნი ნა — ლის ფილოსო-
ფიის დედა-აზრს — ეს არის „კრიკაზი“ მხედართ-მთა-
ერისა: არ დაეძრათ, განვიცნეთ წილის შინა-
პატრიარქალური წეს-წყობილებისა, რაც მისი აზ-
რით არ შეიცვალა ჩვენში. ბ-ნი ნა — ლის აზრით,
კაპიტალიზმი, ე. ი. საქონლის წარმოება ხომ შორს
არის ჩვენგან, მაშასადამე შორს უნდა იყოს შრო-
მის განაწილებაც. მაგრამ სადაც ეს უკანასკნე-
ლი არაა, იქ უფრო შრომის ერთგვარობა
უნდა იყოს, რაც აგრეთვე ახსიათებს პატრიარ-
ქალურ ეთარგებს. ამ ნიშნით, ბ-ნი ნა —
ლო, თქვენი კობსავით უკან უკან მიიწინააღმდეგეთ,
ჩვენ კი წინ ცხოვრებასთან ერთად. რომელი გზა
ჯგერობა — ეს მკითხველისათვის მიგვიჩვენდება.

დავერწმუნეთ დროებით ბ-ნი ნა — ლს, დავე-
თანხმეთ მის შეხედულებას, რომ კაპიტალისტური
წეს-წყობილება მხოლოდ „იქ“ არის დამყარებული,
სადა გრი წლიდან-წლამდე თავის თავს ანდომებს
სულ მცირე საწილს ბუნების შემომქმედ ძალისას (ეს
სწორედ გერაკლიდის ფილოსოფიაა), ხოლო უფროს
ერთ ნაწილს კი კაპიტალების შექმნას ანდომებს,
რომელთა შემწეობით სამერისხოთ სახმარებელ
საქონელსა ჰქმნის, სადა გრადებენ ქარხნები და
ფაბრიკები, ტრიალებენ მაშინები, სადა ერთის სი-
ტყვით დიდს და ჩქვეს ის პროცესი წარმოებისა,
რაც, ჩვენის აზრით, შეადგენს მხოლოდ უკანასკნელ
ფაზისს კაპიტალიზმის განვითარებისას — დავეთან-
ხმეთ იმაში და გვითხით: საიდან, ჩვენი სიტყვის
რომელი ადგილიდან ამოიკითხა, სად ან ვის „გარ-
წმენებთ“ ჩვენ იმ „სიტყვაში“, რომ ჩვენში კაპი-
ტალისტური წეს-წყობილება დამყარებულია? ნუ
თუ მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები? მოასწა-
ვებენ კაპიტალისტური წეს-წყობილებას იმ აზრით,
რა აზრითათუ თქვენ გეგმის ეს წყობილება? ნუ თუ
„ბურჟუა-კაპიტალისტები“ არ მეფობენ იმ ქვეყნებ-
შიაც, მაგ. რუსეთში და ჩვენში, სადა ჯერ ფესა არ

მოუშვარებია იმ ფორმას წარმოებისას, რასაც თქვენ
უწოდებთ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას, ჩვენ კი
ამ წეს-წყობილების „წვერს“? ნუ თუ ამ ქვეყნებ-
შიაც „ფეოდალური და გონებრივი შრომის წარმომა-
დგენელი“ ძალა-უნებურათ არ ემორჩილებიან ამ
მუქთა-ხორებს? გამოვარკვეით.

ჩვენ აღარ დაუბრუნდებით აქ ჩვენს შეხედუ-
ლებას „მუქთა-ხორა-ბურჟუაზიებზე“, რომელთა რი-
ცებს ეკუთვნის არა მარტო ბაბაქალები სულქა-
ნსუქანი ვაჭრები და სოფლის მშობლები — მდიდარ-
ნი უძრავ-მომძრავი ქონებით — მამულთა და ფუ-
ლით — საეზნ-კაპიტალით, არამედ ბევრი ადვოკა-
ტებიც, ჩინოვიკებიც და ზოგი ლიტერატურათაგა-
ნიც კი. არას ეტყვიეთ იმ უმადლეს და სხვა-და-
სხვა სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულ ახალ-
გაზღვრებ, რომელნიც, სასო-წარკვეთილი, ქუდ-მო-
ხდომი მოწყალებას თხოულობენ სხვა-და-სხვა და-
წესებულებათა კარებზე, რომელნიც მუსლს იღრე-
კენ „ბანკისა“ და „უპრაიკის“ წინაშე, ქარხნებისა და
ფაბრიკების ბურჟუების წინაშე — ამ მწარე კეშმარი-
ტებს მხოლოდ ბრმა ვერ შეაჩნევს. ჩვენ გვინდა
აქ გავკრიტიკოთ მანკი შევეხოთ წარმოების იმ ფორ-
მას, რომელიც აქვს მხედველობაში ბ-ნი ნა — ლს და
ისი განმეგებას ჩვენში ვითომ ჩვენ გამოძღვრდეთ,
— ჩვენ გამოვთხოთ სამრეწველო კაპიტალზე, კაპიტა-
ლის წარმოებაში დაბანდვაზე, კაპიტალიზმის უკა-
ნასკნელ ფაზაზე.

აქ ორი უმთავრესი ფაქტორი მოუშავს: კაპი-
ტალი და თავისუფალი მუშა. კაპიტალისტი იძუ-
ლდეს საწარმოო მასალას და შრომის იარაღს. შედეგე გა-
ზრდის ბაზარზე და ქირაობს მუშებს. სადაც ეს ორი
პირობებია, იქ შესაძლებელია წარმოება. ახლა ეი-
კითხოთ: არის ჩვენში ეს პირობები თუ არა? პირ-
ველი პირობა — კაპიტალი რომ ამ მხრივ არავითარ
დებარეობას არ წარმოადგენს, ამაზე ჩვენ გვეკონ-
და ლაპარაკი და, იმედია, მკითხველიც დაგვეთან-
ხმება. საქმე მეორე პირობაში — მუშებშია, რომელ-
თაც ან სულ, ან საქმათხარა აქვთ საკუთარი შრო-
მის იარაღი.

გაკვირეთ ჩვენ შევეჩეთ ზევით ამ პირობას, რო-
ცა გვეკონდა ლაპარაკი შრომის განაწილებაზე და იმ
პროცესზე, რომელმაც გამოიწვია გლეხთა დიფერენ-
ცია — მათი ორ-მეტ ნაკლებ გაყოფა. ჩვენი გაზე-
თების კორესპონდენტები საქართველოს სხვა-და-
სხვებიდან იძლევიან უტყუარ ფაქტებს ამა დამარ-
ღველი პროცესისას. ვინც ცოტათ, თუ ბევრათ
ადვენებს თვალ-ყურს ჩვენი ცხოვრების დღეობას,
არ შეუძლია არ შენიშნოს, როგორ ეცლება ჩვენ

მიწის მომუშავეს ნიადაგი ფეხიდან: ვინ სრულიად ჰკარგავს, ვინ ტოვებს თავის უნაყოფო და გამოფიტულ მამულს და გარბის ქირაზე დაბა-ქალაქებში, სხვა-და-სხვა სამრეწველო კუთხეებში და ქვეყნებში. ავიღოთ მაგალითები:

აი, რას ეკითხულობთ „მოამბეში“: „ნუ თუ კაპიტალისტური წეს-წყობილებამდე მიღწეულნი ვართ, როცა ჩვენმა მემამულემ, რომელსაც სიერკით საქმა მამული აქვს, ლამის არის შემოწილში სული და ღლილი და ერთი ადრია, ან გოლევა რომ ეწეროს, რამდენისამე წლის განმავლობაში წყოს ვერ მოიმართავს?“ (სალიტ. შენიშვნები № X). თუ ჩვენში მემამულეები, რომლებსაც სიერკით საქმა მამულები აქვთ, ამ დღეშია, რა უნდა ითქვას იმ გლეხებზე და არა გლეხებზე, რომლებსაც არა აქვთ საქმა, სულ ცოტა მამული აქვთ? ამის პასუხს, სხვათა შორის, იძლევა „ფერისის“ კახელი კორესპონდენტი: „ფერისის“ მკითხველმა უკვე იცის, რომ კახეთის რამდენისამე სოფლის ნაყმემა გლეხობამ, როცელმაც კარგი ხანია, რაც ნაბატონებთან მამულები გამოიყიდა, მთავრობას მიმართა, ჩვენზე დაჩინილ ფულს ვერ შემოვიტანთ და აღარც შევიდღელი მამული-და გინდაო“. № 282, 1893 წ.)

„ოც-დაათი წელიწადი გავიდა ჩუგორმას შემდეგ, — ამბობს ბ-ნი ა. ფრონელი — და რას ეხედავთ? ისეთაც მცირე მამული გლეხისა ერთი-ორათ და სამათ შემცირდა; მამული შეიძინა საკუთრებათ ტფილისის გუბერნიამ მხოლოდ ერთმა მეთაფმა დროებით ვალდებულ გლეხობამ, მაგრამ ისინიც, ვინც მამულის პატრონი შეიქნა, სინანულში არიან, რადგან მამულის დასასხნელათ აღებული ცაღის სარგებელი ისე დიდია და ისე ნაკლებათ შეესაბამება მამულის შემოსავალს, რომ ლამის ნასყიდობა ხელიდან გამოეცალოს“¹⁾. „წინათაც არ მიცემია გლეხს მამული საკმათ და დღეს ზომ მისი მამულიანობა უმამულობას უდრის“²⁾, „ქართლ-კახეთის თავდაზნაურობა გლეხ-კაცობაზე ნაკლებ არ არის დაკეზული“³⁾. „ჩვენშიაც, როგორც რუსეთში, გლეხობა ეკონომიურათ დაცა“⁴⁾. რას ამბობენ ეს

მწარე ფაქტები? 5).

პირველათ იმას რომ მწარეთ სცემენ თავში ბ-ნ ნ—ლის მსჯელობას, ამ პატრიარქალურ წეს-წყობილების ერთგულ დარაჯს; მეორეთ მას, რომ გლეხების სიღრმადიან თვის ყოფს ეგრეთ წოდებული პროლეტარი.ტა, ეს დაუძინებელი მტერი ჩვენის დარაჯისა; მესამეთ მას, რომ ჩვენი „ძველი ყმაც და ბატონიც“, როგორც ეამბობდით, უნდა იდრეკენ მუხლს ახალი ბატონის, ფულის წინაშე, რადგანაც ფულის საჭიროება თანდათან მატულობს და ამ საჭიროების დამკაყოფილება კი თანდათან ძნელდება; მეოთხეთ იმას, რომ ჩვენში არამც თუ მომზადებულია კაპიტალიზმის უმაღლეს საფეხურზე ასავალი ნივთიერი ნიადაგი, ჩვენ კიდევ აფურობდით ამ საფეხურზე. ამას აშკარათ გვეუბნებიან: ნათის საწარმოებელი ქარხნები ბაქოსა და ბათუმში, სპირტის და ტყაყების—ტფილისში, ჩაის მცენარის კულტურა (ჩაქში), საუფლისწულო ზერები წინანდლის სარდაფით (კახეთში), ქვა-გუნდისა, ქვანახშირისა და ხე-ტყის ექსპლოატაცია და სხ. დიან, ჩვენ შეეფურობდით და—თუ მივრებთ მხედველობაში ჩვენ მკედრთა აწინდელ ვითარებას, ერთი მხრით, და ჩვენი ბუნების სხვა-და-სხვაობა და მის სიმდიდრეს, მეორე მხრით, მალე ავიდგამო და მოვიმაგრებთ ფეხს ამ საფეხურზე.

აქ განვითარება ჩვენი ერისა, მისი წინ-სვლა, მოასწავებს ამავე დროს განვითარებას საზოგადოებრივი ანტაგონიზმისას, კლასისული წინააღმდეგობისას. ჩვენი თითოეული ფეხის ნაბიჯი წინ ამ გზაზე თხრის ჯუღრმულს ახალ ყმათა და ბატონთა, ლატაკთა და მდიდართა შორის. ამისათვის ახალი ხანა უფრო მწვევი და ზარდამცემია ხალხისთვის, ვინც გასული ხანები. აქ ადამიანი უკან დგება, პატრიარქალური ურთიერთობა ადგილს უტოლის ახალ ბატონს—ფულს, ამ ცივ და ზახიზარ ლითონს. ბურჟუა-კაპიტალისტები ჩვენში, როგორც ზვეთაც ვთქვით, ახლაც არსებობენ, მაგრამ ჯერ მთელი ჩვენი ცხოვრება არ გადაუქმნიათ,—ეს რეკიმი იზრდება სწრაფით, მხოლოდ, როცა ის ზრდის დამთავრებს, მაშინ ის იხრწნება და დაბლა ეშვება, მის ალაჯს სოციალიზმი იჭერს. ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიტყვი; აი, აქ თავია კაპიტალიზმის, აქ ბოლო, იმისთვის, რომ პირველ შემთხვევაში ის არეულია ძველ პატრიარქალურ ელემენტებთან, მეორე შემთხვევაში ახალ—პროგრესიული ელემენტებთან. არც ერთი

1) „მოამბე“ № X, სასოფლო სამეურნეო თანხ.

2) ibid.

3) ibid.

4) ibid. აქ ბ-ნი ა. ფრონელი ძალიან ჩატკურში ატყვის ბ-ნ ს—ლს, ნ—ლს, როგორც იცის მკითხველმა, არ რწამს ჩვენში კაპიტალისტური წესობაზე. იძლეულობა ეს წეს-წყობალება უარ ჰქონს რუსეთშიც, რადგან ჩვენსა და რუსეთის ეკონომიკური პარაფაზა საზოგადოთ ანათრთ არ განსხვავდებიან, მაგრამ რას ეტყვიან ჩვენს მცენარეს, ამავე თუ რუსის მცენარეები, „ნაროდნიკები“ კი.

5) ვისაც ევოტუტემა მოუკანდი ფაქტები, ისილუ „ეკონომიური“ წარმატება და ეროვნება“ „მოამბე“ № 5—6.

მოგონა არ არსებობს დაოთხ-კუთხეული, გათვე-
ბული. მისი ნიშნობლივი თვისება მოძრაობა, გან-
ვითარება. ამას გარეთ ის არ არის. საქმე იმაშია,
გამოირკვეს, რა ეკუთვნის მომავალს და რა წასულს.
უკანასკნელთან ბრძოლა დონ-კიხოტობაა, ეს უკვე
მკედარია. პირველთან ბრძოლა საჭიროა, არა მისი
გამეფების წინააღმდეგ — ეს შეუძლებელია, რადგან
უჩვენოთ ხდება ბუნებრივი კანონის ძალით, — არა-
მედ იმ შედეგების წინააღმდეგ, რომლებიც ათასი-
რებენ ადამიანობას. ეს კეშმარიტება, რომელიც
არა ერთხელ ეთქვით, კარგი ხანია გამოაშკარავა
ახალი დასის ნიჭიერმა წარმომადგენელმა, ვერ გაი-
გეს ჩვენმა კულა-ბზიკა ლილიუტებმა. რატომ? იმი-
ტომ რომ ისინი თავისებური ლილიუტური საზო-
მათ ზომენ საზოგადოებრივ. მოგონებს. მოწამლუ-
ლნი იმ თავ-ბრუ დამხვევი ხაზით, რომელიც ომ-
ხიერაიეთ აღის ჩვენის ლიტერატურის ჭიბიდან,
ისინი ცდილობენ „დაწაწილონ“ ამ ხაზით თავიან-
თი გულუბრყვილო მკითხველებიც. მაგრამ მისანს
ვერ მიღწევენ. ამ ჭიბიდან უკვე იხეთქა ანკარა
შადრევანმა. მისი დანიშნულება — გადარეცხოს ამ
ჭიბში გახრწნილი ელემენტები, გაასუფთაოს ნია-
დავი ახალ ნაყოფიერ ყანისათვის.

დასკვნა. ჩვენ ვამბობთ, 1) ჩვენს ცხოვრებაში
ეს 25—30 წელია დიწყო ახალი ხანა. მისი ნიშ-
ნობლივი თვისება გამოიხატება განსაკუთრებულ
ეკონომიურ ურთიერთობაში, რაიცა მოასწავებს აღე-
მიცემა, ვაჭრობას. აქ ძველი ბატონი უთმობს
თავის ალაგს ახალს — ფულს. ფული არღვევს ძველს,
ამენებს ახალს. ის ყოფს ხალხს ორ ნაწილად,
ცხოვრებაში ჩნდება ორი კლასი: მდიდარი და ღა-
რიბი. ძველი წოდებრივი განსხვავება — ფიქციაა.
აღე-მიცემა გამოწვეულია შრომის განაწილებით,
საქონლის წარმოებით. საქონლის წარმოება — ეს სა-
ზოგადოთ იგივე კაპიტალიზმია. 2) კაპიტალიზმის
განვითარებას აქვს რამოდენიმე მომენტი, ანუ ფაზი-
სი. კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ საფე-
ხის შეადგენს „მსხვილი წარმოება“. ამ საფეხურ-
ზე ჩვენ შეგვიფართობდა, მაგრამ ფეხი ჯერ ვერ მო-
გვიმარებია. 3) თუ ჩვენში ჯერ საკმაოდ გარკვეუ-
ლი არ არის პროლეტარიატი და ბურჟუაზია, ეს

იმას კი არ მოასწავებს, არ იყოს არც ერთი, არც
მეორე. რამდენათაც ჩვენი დიდი მემამულეები მდი-
დრდებიან მიწის შემოსავლით — ისინი ბურჟუეზიაა.
ამას მოუმატეთ: მექარხნე, მოგანწე, მოვაჭრე და სხვა
მწარმოებლები. ჩვენი პროლეტარიატი არეულ სხე-
ულს წარმოადგენს. აქ უმეტესობას მცირე მალუმი
აქვს, რომელიც მხოლოდ მესაკუთრის სახელს აძ-
ლევს, ნამდვილათ კი გადატყვევებული ბოგანია. ესე-
ნი მუშა ხალხია, რომლის ბედ-იღბალი დამოკიდე-
ბულია, როგორც საქონლის, ისე მუშათა ხელის
ბაზარზე. ესენი სრულს გაპროლეტარიატების გზას
დაადგენ. 4) ჩვენს ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა
ახალმა (მესამე) დასმა. ეს დასი წარმოადგენს სრულს
წინააღმდეგობას ძველი უნიდავო დასისას. ის პრო-
გრესიულია, უკანასკნელი კი რევრესიული. ბურჟუა-
ზიას ჯერ არა აქვს ჩვენს ლიტერატურაში თავისი
ორგანიზაცია, არა ყავს იქ გამომთქმელი თავისი
დასი, — თუ მხედველობაში არ მივიღეთ ბ-ნ ნ. ნი-
კოლაძის მიმოხილვები „მოამბეში“. ის მუშაობს
ცხოვრებაში. რამდენათაც მისი მოქმედება არღვევს
ძველს პატრიარქალურ წეს-წყობილებას, ის პრო-
გრესიულია, რამდენათაც აღატყებს ხალხს — რევრე-
სიულია, ახალი დასის დროაზე წერია: „ცხოვრე-
ბის ახალი მიმდინარეობის მეცნიერულათ გამო-
კვლევა და ბრძოლა, არა მისი ტენდენციის წინააღ-
მდეგ — ეს უჩვენოთ ხდება — არამედ იმ შედეგების
წინააღმდეგ, რომლებიც ათასირებენ ადამიანებს“.
ბრძოლა ამ შემთხვევაში ნიშნავს დაზარულთა გა-
ცნობიერებას და მათი ინტერესებისათვის ბრძოლას.
ამ ახალ მიმართულების მტერი, ამავე დროს, მტე-
რია დაზარულთა.

ეს არის ჩვენი შეხედულობა ჩვენს ცხოვრებაზე
საზოგადოთ და ლიტერატურაზე კერძოთ. ეს არის
ჩვენი ღრმა რწმენა. ჩვენ მუხლს მოვიდრეკთ, ვინც
მეცნიერულათ, ფაქტიკურათ და ლოლიკურათ და-
გვიერგვებს ამ რწმენას. წინააღმდეგ შემთხვევაში
ეგნავითარი ვაკრიალეზული ფრაზები, ევრავითარი
მუქარა და ლანძღვა-გინება ვერ შეგვიდრეკს ამ
რწმენას, რომლის განმტკიცებას უნდა შევეწიროთ
ჩვენი სუსტი ძალ-ღონე.

გაუმარჯოს ახალ დასს! მისია მომავალი! გაუ-
მარჯოს ყველას, ვინც ებრძვის და თელავს სიბნე-
ლეს და მიისწრაფება სინათლისაკენ!

ს ე ი მ ო ნ ხ ე ლ ი

(ისტორიული მოთხრობა)

VI

შემდგო *)



ლჯაყალიდან დაწყებული სეიმონის მგზავრობა ერთი გაუწყვეტელი ღღესასწაული და მძიარულება იყო. საფლავებიდან ხალხი გამოდიოდა, აღტაცებით ეგებებოდა იმას გზაზე, იმის მიახლოვებაზე ცინებებიდან გამოდიოდნენ მეცხოვნეები და ღროზა გაშლილი სიმღერით ეგებებოდა საყვარელ მეფეს. სეიმონს გული უწუდებოდა, ამ გვარ სიყვარულს რომ ხედავდა და ეს გაუტეხელი ა-ჟ-კაცი ხანდახან ცრემლსაც კი ვეღარ იკავებდა.

მამულის შეგნებული შეილები ეგებებოდნენ იმას, როგორც მთელ საქართველოს მეფეს, ჩადგან იცოდნენ, რა აზრით იყო ის გატაცებული. ხალხი ეგებებოდა იმას, როგორც ძლიერ მმართველს, რომელიც თუმცა, მართალია არ ასვენებდა ხალხს გაუწყვეტელი ომების გამო და ვერც შეეძლო მოესვენებინა, მაგრამ სამაგიეროდ, არც არავის ენება აძლევდა კანონი გადაქცენა, ხალხი დაეჩაგრა.

არც სეიმონის მოწინააღმდეგე ქართველებს, არც ოსმალებს არ ევანათ, რომ ხალხის მეფისადმი სიყვარული ასე უფროა დიდებულა; იმათ მოუმიზნებდნენ მოასწრო ამ ამბავმა. დაუთხანნი მარტო კენწნაში იყო:

— სეიმონი თავისთავით მოდის ჩემთან, აჰა, დამატყვევო! ამბობდა ის. არც ეცალა ღვთის წინაშე. ქვეშე და ლოთობაში ატარებდა ღღეს.

მარტო ელიზბარ ქსნის ერისთავი და ბარძიმ ამილახვარი გონივრულად მართლს, იცოდნენ რა გასაღდელი მოვლოდათ მათ, ჩადგან შეუნდავებლი ცოცხა მოიპოქმედეს მეფის წინაშე. იმათ საჩქაროდ სტარობენ ცოტაოდენი ჯარი და გაემართნენ ქვეშის ციხისაკენ, სადაც მაშინ ცხოვრებდა დაუთხანნი. ღამე იყო, როცა ისინი მივიდნენ.

დაუთხანნი ამ ღროს ციხეში ქეივობდა. იმას მოეცენა ძვირფასი ხალიჩებით დაფენილ ტახტზე. ახალუხი გახსნილი ჰქონდა, საკინძი ჩამოსხნილი. პტყელი ბუზმენატებით მორთულ წითელ მოვის პერანგზე ექობის სამეფოს სარტყელი ვრტყა. თავზე ფეხს თითქმის ქეიომდის გადაეწია. გვერდით ფუნთუშა გოგო უჯდა. ზუღიომას მომსხო ტურნები წითლათ უღლიოდნენ. ზეგით ტურნი ცოტა აწეოდა. აღმასი კბილის წვერები უჩანდა. კუპრივით თმა წვრილ კულულებათ ეცრა ბეჭებზე და ღია მკერდზე. ქალის უღარდელ კასკას სიცილის ეშხზე მოჰყავდა ყველა

ცოტა მოშორებით რამდენიმე ახალგაზდა იჯდა. ტახტის ბოლოს ანგლოზივით ჩიზუხნი იღვა ყალიონით ხელში. ტახტის პირდაპირ მომღერლების და მესაქრავების დასტა ჩამწკრივებულიყო. მერიქიფე და მსახურები ფეხზე იდგნენ. სუფრა სასეს იყო ხორავით, ხილით.

დაუთხანნი ჯერ აღტაცებით ჩაჰყურებდა ზუღიომას მორეცევით ღრმა თვალებში, მერე ვეღარ მოიპოთინა დაჰკუნა და შეშახნი:

— მაშ, ჩემო მზეთუნახავო! ნამდვილათ ღირსი ხარ ღვდაფლობისა. ტყუილათ კი არ წამოვიყვანე ისპანიდან! საქართველოს უიანდახათ გავაშლი, განა მოიფიქრებდი როდისმე, რომ ასეთი ღღემა მოგვლოდა?

— ჩემო ხელმწიფე! მე გენახე, რამდენს ეტოროდი; როცა მიიხრეს საქართველოში უნდა წავიყვანის: მე მეგონა ჩემი სიკვილის ღღე მოვიდამეთქი.

— რომ ტიროდი მერე არ გენანებოდა ეს მაყვალვით შავი თვალები? ახლა? ახლა ხომ შე ეცალა სიმძიარო სიხარულათ? და ეს სულ იყო, ეს ის წყალობი? — მაჰმადისა, ეენაცალე იმას წვერებში; ღღეს შე იმისი წყალობითა ვარ საქართველოს მეფე და შე დედოფალი.

— ბრწყინვალე დავით! თქვენი რიგია საღვგარძელოს თქმა; ეყლი გაგივზრა — უთხრა ერთმა მოქეფემ.

— მაშ ბადეიბი, მერიქიფე! სენა!

— სენა იყოს, სენა!

— ეს ღმერთმა გაჰმარჯვებ მიცეს ჩემ მარჯვენას! მიცნობ? დავით მეფე ვარ საქართველოსი. დავით ამომწვენელი ხომ იყო, მე დავით ბრწყინვალე ვარ. ქართლ-კახეთს და სათაბაგოს მთლათ დავებარებ, იმერეთს დავიმონებ და შავი ზღვით სპამბოლს მივაღებ. ოჰ! მაშინნახავს ბრმა ზუღბანდი, ესთან აქეს საქმე; შეგანანებ ფეცე მაჰმადს და წვერის წინადა გიოვრის. მაშინ ჩემო ზუღეიმ, ხონტქრის ცოლენს მუახლებათ დავიყენებ. ნახავს ჩემი მზა სეი... სეი...

— გაუმარჯოს ჩვენ ბრწყინვალე მეფე დავითს! ტუში! ტუში! შეძანეს მოქეფეებმა. როცა ნახეს დავითს ენა ცრეოდნ.

— ზუღეიმ! ჩემო ზუღეიმ! ერთი დამატებე შენი ცეკვით, შეტხეფე! დავით ქალს.

— ამ წუთს, ჩემო ხემწიფე! — თქვა ქალმა გაღმოფრინდა ძარს, ერთი შეღვა შემკრთალი შევლივით და შეარხია ტანი, ქალის ცეკვით გატაცებულმა დავითმა თავი, ვეღარ შეიკავა, გაღმოვიდა, ტახტიდან და ცდილობდა აჰყოლოდა იმას.

ამ ამბავში ჩემო იყო დაუთხანნი გაილა კარი, შემოვი ენ ბარძიმ ამილახვარი და ელიზბარ ქსნის ერისთავი. მოქეფეებს რომ გადავღვს თვალი, უკმაყოფილება დაეტყუათ ნახებ.

(შემდგო აქნება)

გ. ბარნოვი

*) ხილვე „გვალა“ № 12